ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6688371

ნომერი: AR1990785

თარიღი : 20.09.2023

გაცემის თარიღი : 02.10.2023

გაცნობის თარიღი : 02.10.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აგრარული უნივერსიტეტის მიმდებარედ (ნაკვეთი 14/478);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯონი საჯაია პ/ნ 29001010539
- ჯავახეთის ქ. 9კ. ბინა1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 24 ივლისის №6578046 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 20 სექტემბერს №AR1990785 განცხადებით მომართა ჯონი საჯაიამ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 24

ივლისის №6578046 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 24 ივლისის №6578046 ბრძანებით №01.72.14.014.478 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 24 ივლისიდან 2024 წლის 24 აგვისტოს ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 24 ივლისის №6578046 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, მშენებლობის მე-4 ეტაპი „ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა 0.00 ნიშნულიდან +21.00 ნიშნულამდე; +21.00 ნიშნულიდან +33.50 ნიშნულამდე“-ს ნაცვლად დაფიქსირებულია „ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა +21.00 ნიშნულიდან +33.50 ნიშნულამდე“. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. კერძოდ, შეთანხმებული მშენებლობის ორგანიზების კალენდარულ გრაფიკში მშენებლობის მე-4 ეტაპი დაფიქსირებულია შემდეგნაირად „ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა 0.00 ნიშნულიდან +21.00 ნიშნულამდე; +21.00 ნიშნულიდან +33.50 ნიშნულამდე“. თუმცა, ტექნიკური შეცდომის გამო ბრძანებაში აღნიშნული ეტაპის სამუშაოები არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 24 ივლისის №6578046 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში მშენებლობის მე-4 ეტაპი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა 0.00 ნიშნულიდან +21.00 ნიშნულამდე; +21.00 ნიშნულიდან +33.50 ნიშნულამდე“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 24 ივლისის №6578046 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 24 ივლისის №6578046 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.